ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანებები

## საქართვ. რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

17 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 159

მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ ჯარის ნაწილებში ხშირი მოვლენაა ჯარის-კაცებისაგან თოფის სამკაულის, ხიშტების და ზუმბების დაკარგვა.

მივაქცევ ასეთ მოვლენაზე ნაწილების უფროსების ყურადღებას და ვუბრძანებ მათ მისცენ პასუხისგებაში დამნაშავენი სახელმწიფო ქონების დაკარგვისათვის და გადაახდევინონ მათ ფასი დაკარგული ნივთებისა. გარდა ამისა მიღებულ იქნას ყოველი ზომები თოფ-იარაღის ჯეროვანად შენახვისათვის.

17 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 160

§ 1

საბეითლო განყოფილების უფროსმა წერილობით მომახსენა, რომ ის, თანახმად ჩემი ბრძანებისა, ამ წლის 20 ივნისს გაემგზავრა გორს, ცხინვალს, ქუთაისს და ფოთს სამსახურის გამო და დაბრუნდა 2 ივლისს.

§ 2

ჩემთან მინდობილობისთვის მყოფმა პოდპოლკოვნიკმა ოქუაშვილმა წერილობით მომახსენა, რომ ის გაემგზავრა ამ წლის 29 ივნისს სიღნაღს სამსახურის გამო და დაბრუნდა 2 ივლისს.

21 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 161

ამასთანავე ვაცხადებ სამხედრო სასამართლოს მომავალი სესიისთვის (21 ივლისიდან 4 აგვისტომდე) არჩეულ ნაფიც მსაჯულთა სიას:

1] პოდპოლკოვნიკი გედევანიშვილი, მე-5 რაზ.
2) „ „ კვიკვიძე „ „
3) შტ.-კაპიტანი იოსელიანი „ „
4) „ „ უთნელიშვილი „ „
5) „ „ ნიჟარაძე „ „
6) „ „ ნაზარეიშვილი „ „
7) პორუჩიკი დგებუაძე „ „
8) პოდპორუჩიკი მიმონია „ „
9) შტ.-როტმისტრი წულუკიძე, საად. განყ.
10) პორუჩიკი ძაგანია, საპიორთა ბატალ.

ჯარის-კაცთა სიიდგან.

1) გიორგი ხრიკული, მე-5 რაზმის ჯ.-კაცი.
2) გიორგი ლექავა „ „ „
3) ეფრეიტორი სოლომონ უჯმაჯურიძე ჯ.-კაცი
4) „ „ რაჟდენ სტვილია „
5) გვარდიელი ისააკ ქორიძე, ჯავშნოსანი მატარ. № 1.
6) სერაფიონ ნინიძე, იმავე მატარ. ჯ.-კაცი
7) ნიკოლოზ მულაძე, საპიორთა ბატალ. ჯ.-კაცი.
8) ცაკან მაილაშვილი „ „ „
9) გიორგი ჩაგანავა „ „ „
10) ივანე ნიკოლეიშვილი

სამხედრო მინისტრის მაგიერ,
გენერალ-მაიორი **გედევანიშვილი**